საქართველოს ორგანული კანონი

„სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.08.2015, სარეგისტრაციო კოდი: 010030000.05.001.017899) მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. ენის საქართველოს თავდაცვის ძალებსა და სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებაში გამოყენება

1. საქართველოს თავდაცვის ძალები და სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება ოფიციალურ საქმიანობას ახორციელებენ ქართულ ენაზე, თუ კანონით ან/და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. საქართველოს თავდაცვის ძალებსა და სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახურისა და სამხედრო ბრძანებების ენა არის ქართული.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

26 ივნისი 2025 წ.

N819-IIმს-XIმპ